

სსიპ კოლეჯი „მოდუს“-ის 2019 წლის ანგარიში

2019 წლის განვითარების სამოქმედო გეგმით სსიპ კოლეჯი „მოდუს“ - ში დაიგეგმა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება ექვსი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში

1. ფორმალური განათლების ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება;
2. პერსონალის გადამზადება/კვალიფიკაციის ამაღლება;
3. დაგეგმილი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების განხორციელება კოლეჯის ძირითადი საქმიანობის უწყვეტობა/შენარჩუნების პარალელურად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
4. ფინანსური მდგრადობისა და გაზრდის უზრუნველყოფა;
5. ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო სისტემის შექმნა (არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების დანერგვა);
6. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშემწყობა რეგიონში.

განხორციელებული აქტივობების ღწერა:

1. კოლეჯმა წარმატებით გაიარა ინსტიტუციური ავტორიზაცია და ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N135 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი 6 წლის ვადით, შესაბამისად, ავტორიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით გადაიხედა კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაცია და საჭირო ცვლილებები შევიდა კოლეჯის ხედვის, მისიის, მიზნების, საქმისწარმოების ერთიანი წესის, შინაგანაწესის, სასწავლო გეგმის, შეფასების აღრიცხვის ფორმების, თანამდებობრივი ინსტრუქციების, მონიტორინგის ფორმების, ბიუჯეტის და სხვა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში.
2. საანგარიშო წლის განმავლობაში შემუშავდა 11 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან მესამე დონის ორ პროგრამაზე „სამკერვალო წარმოება“ და ინფორმაციის ტექნოლოგია“ უკვე განხორციელდა მიღება, ხოლო 9 პროგრამაზე კოლეჯმა წარმატებით გაიარა ავტორიზაციის ყველა პროცედურა, მიღებული აქვს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დადებითი შეფასებით და ელოდება საბჭოს გადაწყვეტილებას.
3. განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა; სსიპ კოლეჯმა მოიპოვა უფლება და განახორციელა პროფესიული მომზადების ორი პროგრამა: - "ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ელექტრიკოსი" და "მომხმარებელთან ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებში", სადაც ორივე პროგრამაზე გადამზადდა 25 კურსდამთავრებული, დასაქმდა 14. ასევე შემუშავდა ორი მოკლევადიანი მომზადების პროგრამა „ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება - კერვა“ და „მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება და კერვა“, რომლებიც ელექტრონული წესით გაგზავნილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.

4. განხორციელდა პროფესიული მასწავლებლების შერჩევა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან წინასწარი ხელშეკრულებების გაფორმება.
5. კოლეჯი სრულად აღიჭურვა 11 პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სასწავლო რესურსებით.
6. განვითარდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, განხორციელდა არსებული პროფესიული პროგრამების მონიტორინგი, რაც ასახულია კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიმდინარე ანგარიშებში.
7. კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, წინასწარ დამტკიცებული შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა და მათი ინტერესების გამოვლენა. შედეგები და რეკომენდაციები ასახულია მიმდინარე ანგარიშებში.
8. კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მიერ საჭიროებების გამოვლენის შესაბამისად, იგეგმება და ტარდება პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები - ტრენინგები, პრეზენტაციები და ინდივიდუალური კონსულტაციები, რაც აისახება ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშებში.
9. შესწავლილი იქნა დაახლოებით 70-მდე შეფასების ინსტრუმენტი, შედეგად გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგის საჭიროება შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისთვის.
10. პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის ხარისხის გაზრდის და შესაბამისად წახალისების მიზნით, დაინერგა პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესი. აღნიშნული თავისთავში გულისხმობს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას და მუშაობის შედეგების შეფასების მიხედვით წახალისების პროცედურების განსაზღვრას.
11. განხორციელდა სსსმ / შშმ პირებისათვის ადაფტირებული სასწავლო გარემოს სრულყოფა, შემუშავდა სსსმ/ შშმ პირებისთვის ადაპტირებული სასწავლო გეგმები მიმდინარე პროგრამების ფარგლებში, ასევე საჭიროების მიხედვით სსსმ / შშმ პირებისათვის აყვანილია შესაბამისი ასისტენტები სსსმ/ შშმ პირებისთვის.
12. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველკვარტალურად დგება შიდა მონიტორინგის მიმდინარე ანგარიშები.
13. განხორციელდა სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოება, შეიქმნა და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით დაფუძნდა პროფესიული პროფესიული სტუდენტური კავშირი.
14. პროფესიულ სტუდენტური კავშირის მიერ მოხდა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების ინიცირება, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის სტუდენტთა, ექსკურსიების დაგეგმვის, განხორციელების, აგრეთვე სტუდენტების, მათი წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და ექსკურსიის განხორციელებაში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.
15. დაინერგა ადმინისტრაციის კვარტალური ანგარიშების წარდგენისა და შეფასების სისტემა;
16. შემუშავებულია და მოქმედებს თანამშრომელთა, კერძოდ, სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგების შეფასების სისტემა.
17. დასრულდა მიმდინარე სარემონტო სანუშაოები ადმინისტრაციულ კორპუსში და სახელოსნოებში, რომლებიც სრულად აღიჭურვა განსახორციელებელი პროგრამების შესაბამისად.

18. განხორციელდა სასწავლო მასალების შერჩევა და შესყიდვა არსებული მიმდინარე პროგრამების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის სრულად დაკმაყოფილებას.
19. შეივსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ელექტრონული სასწავლო რესურსებით.
20. გადაიხედა დაწესებულების ვებ-გვერდი და მოვიდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.
21. განხორციელდა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა: კოლეჯი „მოდუსი“ ჩაერთო CISCO-ს აკადემიის ქსელში. www.netacad.com და წარმატებით მუშაობს ინოვაციურ პროექტებზე FAB LAB მოდუსი.
22. 2019 წელს, პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. რუსთავის სკოლებში განხორციელდა დაახლოებით 90, ხოლო გარდაბნის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში დამატებით 30 პროფორიენტაციული/საინფორმაციო ვიზიტი.
23. 2019 წელს, ინფორმაციის შეუფერხებლად გავრცელების და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის სოციალურ ქსელში და ვებ გვერდზე გამოქვეყნდა დაახლოებით 300 პოსტი, დაორგანიზდა და ნახორციელდა 30 ღონიძება, მათ შორის 20 სასწავლო ექსკურსია. შედეგად 500-ზე მეტმა მოსწავლემ დაათვალიერა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და გაეცნო დაწესებულების სასწავლო შესაძლებლობებს.
24. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო მიღება არ გვექონია, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირთა კონსულტირება და საინფორმაციო ბროშურების გადაცემა. წლის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში 1000-მდე ბროშურა დარიგდა სკოლებში და კოლეჯში ადგილზე მომართვიანობის დროს.
25. პრაქტიკის ობიექტების მოძიების და დამსაქმებლებთან ურთიერთობის გაძლიერების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 70-მდე მემორანდუმი და 10-მდე ხელშეკრულება.
26. განხორციელდა და ჯერ კიდევ მიმდინარეობს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციების მოძიება, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის მექანიზმის, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარის გაუმჯობესება და დამსაქმებელთა საჭიროებების შესწავლა; მიმდინარე წელს, შემუშავდა 3 ელექტრონული კითხვარი და სოციალური ქსელის მეშვეობით, 2000-მდე პროფესიული განათლებით დაინტერესებულმა პირმა დაფიქსირა პერსონალური ინტერესი / მოსაზრება.
27. 2019 წლის მაისიდან 5 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა (გამოკითხვა), რის საფუძველზეც დაზუსტდა ადგილობრივი ორგანიზაციების საჭიროებები. კვლევაში 30-ზე მეტი ორგანიზაციის ჩართვა მოხერხდა.

ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობების აღწერა:

1. განხორციელდა ტრენინგების მოწვევა და კონსულტაციები ადგილობრივ ექსპერტებთან, კერძოდ, მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით დაიგეგმა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ინდივიდუალური ტრენინგი შეფასების ინსტუმენტის შემუშავებაში. ზემოთაღნიშნულ ტრენინგში ჩაერთო კოლეჯ „მოდუსის“ 15 მასწავლებელი. აღნიშნული კონსულტაციები ჩატარდა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. რაც შეეხება საერთაშორისო ექსპერტებს, მათი მოწვევა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

2. პროფესიული სტუდენტის მოტივაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები სტუდენტების ინიცირებით, თუმცა სამომავლოდ იგეგმება კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის წახალისების მიზნით ახალი მექანიზმების შემუშავება.
3. ხარისხის განვითარების კუთხით, მიუხედავად იმისა რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯს აქვს რეგულაცია, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის მობილობის, ფორმალური და არაფორმალური განათლების არიარების, კვალიფიკაციის მინიჭების წესები, საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი პროცედურები და ინსტრუმენტები სტუდენტების მობილობის, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების ხელშემწყობისთვის, ასევე დასახვეწია კვალიფიკაციის მინიჭების ვალიდურობის მექანიზმები;
4. სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, უკვე განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, საჭიროა ხარისხის ახალი სტანდარტის დანერგვა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მიმდინარე პროცესების გადახედვა გაუმჯობესება;
5. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის კოლეჯში საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდულებისა და შედეგების ადაფტირება, თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისადმი ინდივიდუალური მიდგომები;

განუხორციელებელი აქტივობები:

1. ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა (არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების დანერგვა);
2. სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართის დამატება;
3. საზღვარგარეთ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დაწყება;
4. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების ამუშავება;

განხორციელებული აქტივობების შეფასება:

1. აქტივობები ფორმალური განათლების ყველა დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატების და დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

აქტივობების მიზანი:

- ინსტიტუციური ავტორიზაციის გავლა;
- ახალი სასწავლო პროგრამების დამატება;
- მოკლევადიანი მომზადება - გადამზადების პროგრამების დამატება და განხორციელება;
- ხარისხის განვითარების მექანიზმების გაუმჯობესება;
- სასწავლო პროცესის გაუმჯობესება;
- სასწავლო გარემოს სრული რეაბილიტაცია და შესაბამისად აღჭურვა;
- მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სტუდენტების და მასწავლებლების ჩართვა სხვადასხვა ინოვაციურ პროექტებში და მათი მოტივაციის ამაღლება;

- სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოება;
- პოზიტიური სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა, თნაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მათი ინტეგრირება სასწავლო პროცესში;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, სამოქმედო არეალის გაფართოება;
- ადგილობრივი თვითმმართველობისა და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაღრმავება:

აქტივობების შედეგი:

- ავტორიზებული სასწავლო ფართი, ორი ავტორიზებული მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ოთხი პროგრამა მიღევად რეჟიმში, სადაც წლის განმავლობაში სწავლობდა 243 პროფესიული სტუდენტი;
- დამატებული კიდევ ცხრა შემუშავებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებზეც სწავლა დაიწყო 2019 წლის საგაზაფხულო მიღებიდან;
- განხორციელა პროფესიული მომზადებისა ორი პროგრამა - "ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ელექტრიკოსი" და "მომხმარებელთან ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებში", სადაც ორივე პროგრამაზე გადამზადდა 25 კურსდამთავრებული და დასაქმდა 14;
- თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბენეფიციარებისთვის, არსამთავრობო ორგანიზაცია rdfg-სთან (ასოციაცია სამხარეო გავითარება მომავალი საქართველოსთვის) თანამშრომლობით შემუშავდა და მიმდინარეობს ორი სპეც. პროგრამა: „ბუღალტერია - ზოგადი კურსი“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერი სპეციალისტი“. ამ ეტაპზე გადამზადდა 30 მსმენელი და იგეგმება თანამშრომლობის გაგრძელება შემდეგ ეტაპზე.
- ხარისხის განვითარების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯი ჩართული იყო ახლი სტანდარტები თვითშეფასების შემუშავებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პილოტირების პროცესში. შედეგად კოლეჯი სამომავლოდ გეგმავს ხარისხის მექანიზმების სრულად გადახედვას და ახალი სტანდარტების მორხოვნებთან მათ შესაბამისობაში მოყვანას;
- განვითარდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა;
- სხვადასხვა ინოვაციურ პროექტებში სტუდენტების ჩართვისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაფართოების მიზნით, მიმდინარე წლის მაისის თვეში დაიგეგმა კალიფორნიის უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიის UC Davis D-Lab და ევროპული სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს რეკომენდაციით შექმნილი მოდულის სასწავლო კურსის - განხორციელება; პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის კოლეჯში განხორციელდა პროგრამის „იყავი მეწარმე“-ს 7 მოდულიანი ტრენინგ კურსი. პროგრამა ქართულად მომზადდა USAID - ის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტს ახორციელებდა ფონდი „კრისტალი“ ჯუნიორ ეჩვმენტ საქართველოსთან (JAG) და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია “კრისტალთან” თანამშრომლობით. აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 20 მსმენელი. პროგრამის სრული კურსი მოიაზრებდა 14 საათს/7 შეხვედრას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისდასრულების შემდგომ, ოცივე მსმენელმა წარმატებით გაიარა სრული კურსი და გადაეცათ პროგრამა „იყავი მეწარმე“- ს 123 ქვეყანაში აღიარებული სერტიფიკატი.
- პროფესიული სტუდენტებისთვის თნაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, სრულად აღიჭურვა და მოეწყო სასწავლო/სამუშაო გარემო, მოქმედებს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და სამოქმედო არეალის გაფართოების შედეგად, პროფესიული უნარები ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. რუსთავის სკოლებში

განხორციელდა 30 პროექტი, სადაც 19 საჯარო სკოლის 500-მდე მოსწავლემ გაიარა სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული უნარების კურსი, ასევე დამატებით 108 მოსწავლემ შეისწავლა ინფორმაციული ტექნოლოგიები და სამღებვრო საქმე კოლეჯის ბაზაზე აღჭურვილ სახელოსნოებში. გარდა ამისა, კოლეჯმა გააფართოვა მოქმედების არეალი და მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების ფარგლებში ახორციელებს სწავლებას გარდაბანსა და თეთრ წყაროში - 7 სკოლაში, სადაც მომდინარეობს სწავლება 6 პროგრამაზე და ირიცხება 128 მოსწავლე;

- ადგილობრივი თვითმმართველობის და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის შედეგად დაიგეგმა 2019 წლის სამოქმედო ამოცანები და განისაზღვრა კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა.

2. აქტივობები მატერიალური რესურსებით კოლეჯის უზრუნველყოფის მიზნით და ფინანსური ანგარიშგება.

- განხორციელდა ყველა მოქმედი მოდულური პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობისა და მასალების შესყიდვა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საანგარიშო პერიოდში, 2019 წელს, კოლეჯში ჩატარდა ინვენტარიზაცია და სრულად აღირიცხა დაწესებულების მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- შეჯამდა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ფინანსური ხარჯები, გაანალიზდა შედეგები და დაიგეგმა 2019 წლის ბიუჯეტი;
- სრულად დაკომპლექტდა საჭირო აღჭურვილობით 2019 წელს დამატებული 11 მოდულური პროგრამა, სულ ავტორიზაციისთვის მომზადდა პრაქტიკული სახელოსნოები 11 პროგრამისთვის;
- პროფესიული სტუდენტებისთვის ინოვაციური იდეების განხორციელების მიზნით, მუშაობს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია“ (ფაბლაბი) და სისტემატიურად ხორციელდება მისი შევსება საჭირო მასალებით;
- კოლეჯის მიერ განხორციელებული 30 სკოლის პროექტებისთვის კოლეჯმა შეისყიდა საჭირო აღჭურვილობა და მასალები, რის შესაბამისადც მომზადდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური დოკუმენტაცია.

აქტივობების მიზანი:

- დაწესებულების სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიზნობრივად თანმიმდევრულად მომზადება მოდულური პროგრამების დამატების მიზნით;
- სტუდენტების დაინტერესება, მათი კმაყოფილების ხარისხის ზრდა;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა.

აქტივობების შედეგი:

- გაუმჯობესებული სასწავლო გარემო;
- აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სტუდენტების დაინტერესება, მათი კმაყოფილების ხარისხის ზრდა;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა.

3. აქტივობები ადამიანური რესურსების გაუმჯობესებისთვის.

- წლის განმავლობაში ეტაპობრივად განხორციელდა არსებული პროფესიული მასწავლებლების გადამზადება/დატრენინგება;
- კოლეჯის 32-მა მასწავლებლმა გაიარა პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამით გათვალისწინებული 5 მოდული და მიიღო შესაბამისი სერთიფიკატი;

- კოლეჯს დაემატა ერთი საშტატო ერთეული - „საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი“ და ასევე ხელშეკრულების საფუძველზე დაემატა „ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის პოზიცია;
- შრომის უსაფრთხოებაში გადამზადდა 4 კადრი დაწესებულების რესურსებით.

აქტივობების მიზანი:

- არსებული ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ახალი პროფესიონალი კადრების რესურსის მოძიება კოლეჯის წარმატებული მუშაობისთვის;
- პროფესიული სწავლების ხარისხისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება;

აქტივობების შედეგი:

- კოლეჯის მოქმედი მასწავლებლები სრულფასოვნად აწარმოებენ ელექტრონულ ჟურნალს; ამზადებენ მათთვის საჭირო სასწავლო მასალებს, კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტებს და კალენდარულ გეგმებს, ასევე ადმინისტრაციასთან მიმოწერას ახორციელებენ საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (e-flow) მეშვეობით, რაც ზოგადად ხელს უწყობს მათი საქმიანობის სწორად დაგეგმვას და ორგანიზებას;
- კოლეჯის აკადემიური პერსონალი შეივსო ახალი კადრებით;
- გაიზარდა კოლეჯის სასწავლო გარემოს უსაფრთხოება

კოლეჯში განუხორციელებელი და/ ან ნაწილობრივ განხორციელებული აქტივობების შეფასება:

- განხორციელდა ადგილობრივი ექსპერტების მოწვევა მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის შესახებ და ასევე ინდივიდუალური კონსულტაციები შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში. ზემოთაღნიშნულ ტრენინგში ჩაერთო კოლეჯ „მოდუსის“ 15 მასწავლებელი. აღნიშნული კონსულტაციები ჩატარდა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში.
- პროფესიული სტუდენტის მოტივაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, მაგ: პროფესიული სტუდენტური კავშირის თავმჯგომარე წევრის სტატუსით მონაწილეობს საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე., თუმცა სამომავლოდ იგეგმება კოლეჯის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის წახალისების მიზნით ახალი მექანიზმების შემუშავება.
- ხარისხის განვითარების კუთხით კოლეჯს უკვე აქვს შემუშავებული რეგულაციები, თუმცა ახალი სტანდარტების ამოქმედებასთან დაკავშირებით, სრულად არის გადასახედი რეგულაციები;
- სსიპ კოლეჯ მოდუსში 2019 წლის მონაცემებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობაა 16, აქედან მოდულურ პროგრამებზე სწავლობდა/ სწავლობს 13 სტუდენტი, რომელთათვის განხორციელდა მოდულებისა და შედეგების ადაფტირება, თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისადმი ინდივიდუალური მიდგომები;

დაწესებულების სიტუაციური ანალიზი /SWOT ანალიზი/:

1. ძლიერი მხარეები:

- გარემონტებული ინფრასტრუქტურა, აღჭურვილი სახელოსნოები რეაგტორიზაციისთვის მომზადებული დასამატებელი პროგრამების ფარგლებში;
- ადაპტირებული სასწავლო გარემო (ლიფტი, სველი წერტილები);
- კომპეტენტური პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- მოტივირებული პერსონალი;
- გარემოსთან ადაპტირებული გუნდი;
- პერსონალის გათვლილი გუნდური მუშაობა;
- დამსაქმებელთა ფართო სპექტრი;
- თანამშრომელთა მიერ კვალიფიციურად შესრულებული სამუშაო;
- პრესტიჟულობა/ჩვენი ორგანიზაციის კიდევ უფრო მზარდი იმიჯი;
- დროისა და დაკავებული რესურსის ეფექტური განაწილება;
- მოდულარული პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა;
- დუალური სწავლების დანერგვის შესაძლებლობა;
- განახლებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა;
- ავტორიზებული პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება;
- განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერა ახალი მოდულური პროგრამების დანერგვაში;

2. სუსტი მხარეები:

შიდა ნეგატიური ასპექტები:

- ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვისთვის საჭირო გარდამავალი პერიოდის სიმცირე;
- ელექტრონული ბაზების (Ewet.emis.ge) ხარვეზები;
- კვების ობიექტის არარსებობა;
- საერთო საცხოვრებლის არ არსებობა;

3. შესაძლებლობები: გარე პოზიტიური ფაქტორები;

- განათლების ახალი კანონი, რომელიც საშუალებას აძლევს კოლეჯს დაიმატოს მესამე, მეოთხე, მეხუთე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე მონაწილეობა მიიღოს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროექტებში;
- პროფესიონალური კადრების მოტივაციის ზრდა;
- სტუდენტთა მოტივაციის ზრდა;
- რეგიონალური მხარდაჭერა;
- დამსაქმებელთა მხარდაჭერა და ჩართულობა;
- ახალი მოდულარული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესაძლებლობა;
- დამსაქმებლებისა და საზოგადოების საჭიროებების არსებობა;

- დამსაქმებლებთან კოორდინაციის საფუძველზე დუალური პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა;
- სტუდენტებისა და პერსონალის თვითრეალიზაციის ხელშეწყობა;
- ახალი სამიზნე ჯგუფების მოზიდვა;
- სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა,
- ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა

4. საფრთხეები: გარე ნეგატიური ფაქტორები;

- ცვლადი გარემო/შრომის ბაზარი, დასაქმება და სხვ/;
- შრომის ბაზართან კავშირის სისუსტე, რის გამოც დაბალია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის არამდგრადი მონაცემები, რაც აფერხებს პროფესიული კოლეჯის მიერ კონკურენტული სამუშაო ძალით შრომის ბაზრის მომარაგების გრძელვადიანი გეგმის შემუშავებას;
- შრომის ბაზრის სწრაფი განვითარება, მოთხოვნა - მიწოდებაში არაჰარმონიულობა;
- ცვლილებები დემოგრაფიაში;
- სოციალური პირობების შედეგად სტუდენტთა რიცხვის შემცირება;
- არაკონკრეტული გარემო;
- ტექნოლოგიური განვითარება.

რეკომენდაცია: სასურველია 2019 -2020 საანგარიშო პერიოდში კოლეჯის სამოქმედო გეგმით განუხორციელებელი აქტივობების განხორციელებაზე ზრუნვა, კერძოდ, ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო სისტემის შექმნა (არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების დანერგვა). სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის ფართის დამატება, საზღვარგარეთ არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დაწყება და არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მექანიზმების ამუშავება. ასევე აუცილებელია კოლეჯში არსებული სამართლებრივი რეგულაციების - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, მარეგულირებელი წესების და მიმდინარე პროცესების გადახედვა, შეფასება ახალ სტანდარტებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.